შპს ჯორჯიან კონტემპორარი კონსტრაქშენ

ვაჟა-ფშაველას გამზირი №16, II სართული,
ტელ/ფაქსი +995 32 237 10 09

ს/კ 404870724

GEORGIAN CONTEMPORARY CONSTRUCTION LTD.

Vazha-Pshavela Ave. #16, II Floor,
Tel/Fax +995 32 237 10 09

I/C 404870724

30.12.2021 წ.

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

წარმოდგენილია ქ. თბილისში, სოფელ ქვემო ლისში (ს/კ 72.16.18.965) მშენებარე შენობის კორექტირებული კონსტრუქციული პროექტი და გაანგარიშებათა შედეგები.

წარმოდგენილი კორექტირებული პროექტი წარმოადგენს უკვე შესწავლილი პროექტის (იხ. დასკვნა მომზადებული **20.03.2018 წ.**) კორექირებულ ვარიანტს, რომელიც პირველადი პროექტისგან განსხვავდება შენდეგი პარამეტრებით:

1. **შენობას დაემატა 1 ტიპიური სართული.**
2. **შენობის შიდა ტიხრები ნაცვლად წვრილი საკედლე ბლოკებისა გადაწყვეტილია მუყაო-თაბაშირის ტიხრებით.**

შესწავლილ იქნა შენობის კორექტირებული საანგარიშო სქემა და წარმოდგენილი მუშა ნახაზები.

წარმოდგენილი კორექტირებული საანგარიშო მოდელის მიხედვით შენობის ყველა სართულზე ტიხტების საერთო წონის ცვლილებამ (შემცირებამ, რადგან ტიხრებში ბეტონის ბლოკების ნაცვლად გამოყენებულია მუყაო-თაბაშირი) შეადგინა 1კვ.მ-ზე 200კგ. რაც იძლევა საშუალებას განხორციელებულ იყოს დამატებით 1 სართული (საძიკვლების, სვეტების და სხვა მზიდი ელემენტების ცვლილების გარეშე). დამატებული სართულის გათვალისწინებით შენობის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის ანალიზიდან გამომდინარე სვეტების არმირების პროცენტი შეიცვალა უმნიშვნელოდ 0.3-0.4%-ით. რაც მუშა ნახაზებში წარმოდგენილ არმირებებს შეესაბამება. გაანგარიშებები შესრულებულია LIRA-SAPR-საანგარიშო კომპლექსში, კონსტრუქციულ პროექტში მიღებული დაარმირების პარამეტრები შესაბამისობაშია საანგარიშო კომპელქსში მოცემული არმირების პროცენტებთან.

ასევე აღსანიშნავია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, მუნიციპალური ინსპექციის მიერ დადგენილება #001236 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე გამოვლენილი დარღვევები, საპროექტო კორეტირებულ დოკუმენტაციაში იყო გათვალისწინებული. შესაბამისად შეთანხმებული პროექტის დარღვევით ნაწარმოები მშენებლობა მდგრადობის და საიმედოობის კუთხით სამშენებლო ნორმთან და წესებთან შესაბამისობაშია.

<u>დასკვნა:</u>

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს ცალსახად დადებითი დასკვნა, რომ კორექტირებული პროექტი (ისევე როგორც პირველადი კონსტრუქციული პროექტი) აკმაყოფილებს მდგრადობისა და სიმტკიცის შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს და სრულიად ვარგისია მშენებლობის განხორციელებისთვის.

შპს ,,ჯორჯიან კონტემპორარი კონსტრაქშენ"-ის
მთ. კონსტრუქტორი/მმართველი პარტნიორი:

დავით გიგინეიშვილი
ინჟინერ კონსტრუქტორი - მშენებლობის მაგისტრი